დრ. პაუსა ფალავა

ქალი კვალიფიად ხამუალოში



بسم الله الرحمن الرحيم

დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1592
ჯიბის წიგნები:139

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი
ლოქმან არსლანი

გამოცემისთვის მოამზადა
უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
20.02.2019/25

ISBN: 978-605-7519-44-3
2019-06-Y-0003-1592
სერთიფიკატის ნო: 12930
1. გამოცემა, ანკარა 2019

გამოცემა
Başak Mat. Tanı. Hiz. İth. İhr. Tic. Ltd. Şti.
+90 312 397 16 17

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü
Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı
Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı
No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE
ტელ: +90 312 295 72 81
ფაქსი: +90 312 284 72 88
e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

ქალი ცოლად საკუთრებაში

დრ. ბაუსა ფიდანი

DIYANET İŞLERİ BAŞKANLIĞI

თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

სარჩევი
რწმენის პირობები

წინასიტყვაობა • 5

შესავალი • 9

ქალი, როგორც პიროვნება • 19

ცრურწმენები ქალი შვილების წინააღმდეგ • 24

ახალი პასუხისმგებლობა და ქალი, • 33

როგორც მეუღლე • 33

ქალი, როდესაც დედა ხდება • 37

ქალი, როგორც ძალადობის ობიექტი და
მოძალადე • 42

ადათებსა და თანამედროვე ღირებულებებს შორის
მოქცეული ქალი • 48

განათლება და ქალი • 53

უნივერსალური ღირებულებები და ქალი • 55

წინასიტყვაობა

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სივრცეში მცხოვრები ადამიანები ვალდებულნი არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან ოჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

სურა ყიამეთის 36-ე აიათი მიგვითითებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს,აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებოძათ!“

სურა თექასურის მე-8 აიათი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებოძა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვალდებუ-

ლებები დაეკისრა, რომელიც შეძლებიდაგ-ვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშვიდეს, უმთავრესად გაურკვევლობა არღვევს, ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ღირსებისთვის შესაფერისი მომავალი შევიქმნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არსებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოების მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრება. ესენია: შიმშლი, სიღარიბე, გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სოციალური უთანასწორობა, არათანაბარი პირობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიერი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებები, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად ჯანსაღი გარემო, გაურკვევლობა განათლებისა და სამართლიანობის სფეროში, ისტორიული და კულტურული ღირებულებების განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყველაფერს ემატება ადამიანებს შორის დიალოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის შემცირება, განსხვავებული აზრის დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეო-

ბა რაღაც ფორმით, გაურკვევლობაშია ჩაფ-
ლული. ამ საკითხების მოსაგვარევლად კი
ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავე-
ბა და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმე-
დითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ
ჩვენს ხელთ არსებულ ღირებულებებს ვერ
ვამჩნევთ და შესაბამისად ამ ღირებულებე-
ბით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქედან,
ჯერ ეს ღირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ
და ყოველდღიურობაში დავნერგოთ. უეჭვე-
ლია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვა-
ნი ღირებულება ისლამია, რომელიც რამდე-
ნიმე ათეული საუკუნის განმავლობაში, კა-
ცობრიობას გზას უნათებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების გან-
ვითარების მიზნით შემუშავებული, ფსიქო-
თერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობი-
სათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკო-
მანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მს-
გავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგი-
ის მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია
საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედრო-
ვე გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმი-
სო დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლი-
ოს ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების
მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევე-
ბი, რომლებიც ურთიერთდახმარებისა და

ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვიღოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაზროთ და ცხოვრების ჭირი და ლხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთთანადგომა უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ყველამ ერთად ვიბრძოლოთ.

შესავალი

ქალის ხსენებისას დედა, ქალიშვილი, და, ცოლი და ძირითადად საზოგადოების ერთ-ერთი ინდივიდი გვახსენდება და ქალის როლიც შესაბამის სფეროებშია გადანაწილებული.

კაცობრიობის ისტორიაში ქალის სტატუსმა, სხვა და სხვა საზოგადოებრივ წყობილებაში მრავალგვარი ტრანსფორმაცია განიცადა. ზოგადად, როგორც ისტორიულადაა მიღებული, ქალის სტატუსი კაცობრიობის წინსვლასთან ერთად „წინ მიდიოდა". შესაბამისად ქალის როლიც ასევე წინსვლას განიცდიდა. არადა ამგვარი ზოგადი განმარტება, ისტორიის შიგნით ცალკე ისტორიის არსებობას არ გულისხმობს. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ისტორიის პროცესში ცალკე ეპოქები არსებობდა.

ისტორიის პროცესში ცალკე ეპოქების არსებობა, ისტორიის პროცესში განსხვავებული ცხოვრების სტილით მაცხოვრებელი ადამიანთა ჯგუფების არსებობას გულისხმობს. ისტორიაში ქალი, სხვადასხვა გეოგრაფიულ ერთეულებში და ზოგჯერ ერთი და იმავე გეოგრაფიულ ტერიტორიაზე განსხვავებულ სოციალურ დატვირთვას განიცდიდა და შესაბამისად განსხვავებული როლის შესრულება უწევდა. ქალი წარ-

სულში იყო დიასახლისი, მუშა, რომელიც თესდა და იმკიდა, ვაჭარი და დედოფალი. ეს ყველაფერი მისი როლის მრავალფეროვნებაზე მიუთითებს. დღესაც, ქალი, დიასახლისობიდან დაწყებული სახელმწიფოს მეთაურობამდე, სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ როლს ასრულებს.

ცხადია, რომ ზოგადად ქალი დღეს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში უფრო აქტიურადაა ჩართული და საქმიანობის სფეროში ქალმა იტვირთა ისეთი როლი, რაც ტრადიციულ საზოგადოებაში მამა-

კაცის საქმედ ითვლება. შესაბამისად ქალის როლი არეალი უფრო და უფრო გაფართოვდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი საზოგადოების ყველა ჯგუფზე არ არის ვრცელდება.

ქალის პრობლემები უმეტესწილად დამოკიდებულია იმ სოციალურ და კულტურულ გარემოზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, ამიტომ მათი პრობლემები განსხვავებულია. მაგალითად, სოფელში მცხოვრებ, ყანაში მომუშავე ქალებსა და ქალაქში, ოფისში მომუშავე ქალებს სხვადასხვანაირი პრობლემები აქვთ. ამიტომ, ამ ტიპის პრობლემე-

ბის მოგვარებისათვის განსხვავებული გზების ძიებაა საჭირო.

ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფში და კულტურაში ქალის და მამაკაცის როლებს საზოგადოებრივი გარემო აყალიბებს. ეს როლები მხოლოდ ქალის და მამაკაცის როლების სახით, ასე ზოგადად არ არის განსაზღვრული. ამ როლებს გააჩნიათ უფრო სიღრმისეული მაკონკრეტებელი თავისებურებები, როგორიცაა გოგონა, ყმაწვილი, რძალი, სიძე, დედამთილი, მამამთილი, სიდედრი, სიმამრი და მსგავსი შიდა საზოგადოებრივი სტატუსები. ყოველი ასეთ საზოგადოებრივი კლასიფიკაცია სულ მცირე მიღებული უნდა იქნას, როგორც „მოქმედი“.

საზოგადოებრივი წყობის ფორმირებისა და სიცოცხლისუნარიონობის თვალსაზრისით ერთიანი ეფექტი გააჩნიათ ეკონიმიკურ, პოლიტიკურ, რელიგიურ და ტრადიციულ ფაქტორებს.

საზოგადოებაში ქალის როლად მიღებული ფუნქციების განსაზღვრისას საზოგადოების მახასიათებლების გათვალისწინებაა საჭირო. ამასთანავე, ქალის და მამაკაცის როლების გადანაწილებისას სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებიდან კომუნიკაციის სახით გადმოცემული ფაქტორებიც უნდა გავითვალისწინოთ. ბუნებრივია არცერთი

საზოგადოებრივი ჯგუფი ჩაკეტილი სივრცე არ არის და ის მეტნაკლებად კონტაქტურია. ტრადიციები, ენა, სარწმუნოება, კულტურა და სხვა მსგავსი ფაქტორები დროთა განმავლობაში ახალი ხედვების შესაბამისად იცვლება და შესაბამისად ცვლის საზოგადოებასაც. გამომდინარე აქედან, რაოდენ დინამიურიცაა ტრადიციები, ენა, სარწმუნოება, კულტურა და სხვა მსგავსი ფაქტორები, იმდენად ცვალებადია ქალის და მამაკაცის როლებიც.

ბოლო ორი ასწლეულის მანძილზე, ე.წ. ცივილიზაციის ეპოქაში, ქალის და მამაკაცის როლების თემა კამათის და პოლემიკის საგანი გახდა. ე.წ. ცივილიზაციის მომხრეები ამტკიცებენ, რომ აუცილებელია დასავლური ღირებულებების დანერგვა და ამ პროცესში ქალის და ზოგადად ოჯახის პრობლემებს, ტრადიციებს და რელიგიას აბრალებენ. მეორე მხარე კი, რომელსაც ტრადიციის დამცველებს ვუწოდებთ, თავიანთი მხრივ ცდილობენ ქალის და ზოგადად ოჯახის პრობლემები დასავლურ ღირებულებებს დააბრალონ. შესაბამისად ზოგი მოაზროვნე მიიჩნევს, რომ პრობლემის სათავე დასავლური ღირებულებების შემოდინებაა, ხოლო მეორე მხარე მიიჩნევს, რომ პრობლემების სათავე ტრადიციებისადმი გადაჭარბებულ დამოკიდებულებაშია.

ტრადიციულობის და თანამედროვეობის ზუსტი ანალიზის შემთხვევაში ძირითადი პრობლემა მათი, ურთიერთსაპირისპირო მოვლენებად მიჩნევაა. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, პრობლემა იმ თეორიის აღიარებაა, რომელიც ამ ორი მოვლენის, თანამედროვეობისა და ტრადიციულობის კატეგორიულად წინააღმდეგობაში მოსვლას გულისხმობს. არადა, მოდერნიზაციის მწვერვალზე მყოფი ადამიანი, იმ შემთხვევებშიც კი, როცა ამტკიცებს, რომ ის ტრადიციების წინააღმდეგია, სინამდვილეში მაინც ტრადიციების შიგნითაა.

იმის მტკიცება, რომ ტრადიცია მუდმივად წინააღმდეგია მოდერნიზაციის და ეს ყოველთვის ასეა, უსაფუძვლოა. ტრადიცია თავის მხრივ მუდმივ განახლებას საჭიროებს, რომ ტრადიციად დარჩეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრადიცია მუდმივად დინამიური მოვლენაა. თუმცა, ტრადიციის დინამიკურობა ზოგ ხალხში ნელა, ხოლო ზოგში შეიძლება უფრო სწრაფად ვლინდებოდეს. ამრიგად, ამ ორი მოვლენის, ტრადიციულობის და თანამედროვეობის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში, მათი, როგორც კატეგორიულად ურთიერთსაპირისპირო მოვლენებად განხილვის მასაზრდოებელი მოსაზრება გარკვეული თვალსაზრისით პრობლემატურია.

ამ დროს, როცა რელიგია მოდერნიზაციის მიმდევრების მხრიდან დამნაშავე ფაქტორად მოიაზრება, სინამდვილეში რელიგია, ამ კლიმატში, რასაც ტრადიცია და თანამედროვეობა ქმნიან არცერთ მხარეს არ მიეკუთვნება. რელიგია და ის ღირებულებები, რომლებიც სათავეს რელიგიისგან იღე-

ბენ ტრადიციის ფორმირებაში თავიანთ წვლილს დებენ და ზოგჯერ აკრიტიკებენ და წინააღმდეგობაშიც კი მოდიან მათთან. ამავდროულად, რელიგია წარმოადგენს თანამედროვის შექმნის შესაძლებლობას. ამრიგად ის ასრულებს სარკის ფუნქციას, რომელიც ახალს, ძველის ალტერნატივად წარმოაჩენს. მოსაზრება, რომელიც ამტკიცებს, რომ რელიგია თანამედროვეობის წინააღმდეგია, სწორედ იმიტომ წარმოიქმნა, რომ მავანნი რელიგიის იმ თვისებას ვერ ხედავენ, რომელიც მის მიერ ახალი განმარტებების გაკეთების შესაძლებლობებს გულისხმობს. სინამდვილეში რელიგია საფუძველშვე ებრძვის უნიადაგო ტრადიციებს. ამ თვალსაზრისით რელიგია ტრადიციასა და თანამედროვეობაზე მაღლა დგას. რელიგია და ის ღირებულებები, რომლებიც რელიგიისგან მომდინარეობს, ერთის მხრივ ტრადიციულის, ხოლო მეორეს მხრივ თანამედროვის წარმოშობას უწყობს ხელს და ამრიგად, წარსულისა და მომავლის შეხვედრის წერტილში ქმნის აწმყოს.

ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის როლის საკითხზე ტრადიციის დამცველებსა და მოდერნიზაციის მომხრეებს შორის საკმაოდ მწვავე კამათია. ერთის მხრივ მიმდინარეობს კამათი, ხოლო მეორეს მხრივ რეგულირდება შესაბამის კანონმდებლობა, რომელიც ქალთა განათლებას, აღზრდას,

სოციალურ და პოლიტუკურ სფეროში ჩართულობას უზრუნველყოფს. ახლა კი წარმოგიდგენთ ქალის სტატუსის დროთა განმავლობაში ცვალებადობას, თურქეთის და წინამორბედი ოსმალეთის მაგალითზე.

1843 წელს ქალებს უფლება მიეცათ სამედიცინო სასწავლებელში გინეკოლოგის პროფესია შეესწავლათ. 1847 წელს გამოიცა კანონი, რომელიც ვაჟიშვილსა და ქალიშვილს მემკვიდრეობის თანაბარ უფლებას ანიჭებდა. 1856 წელს მონებისა და მხევლების ყიდვა-გაყიდვა აიკრძალა. 1858 წელს გამოიცა კანონი, რომლის თანახმადაც ვაჟიშვილებს და ქალიშილებს მიწის მემკვიდრეობის საკითხში თანაბარი უფლებები ჰქონდათ.

ამრიგად ქალებს პირველად მიეცათ მემკვიდრეობის გზით საკუთრების უფლება. 1858 წელს გაიხსნა პირველი გოგონათა სკოლა. 1869 წელს გამოიცა პირველი ჟურნალი ქალებისთვის, რომელიც კვირაში ერთხელ გამოდიოდა. 1869 წელს გამოიცა კანონი, რომლის თანახმადაც გოგონების სწავლა-განათლება სავალდებულო გახდა. 1870 წელს გაიხსნა პირველი სკოლა ქალი მასწავლებლებისათვის. 1871 წელს ოსმალეთის სამოქალაქო კანონმდებლობით დადგინდა, რომ ქორწინება ოფიციალური მოხელის წინაშე უნდა გაფორმებულიყო

და ამასთანავე დადგინდა ქორწინების მინიმალური ასაკი, რომელიც ვაჟიშვილების შემთხვევაში 18 ხოლო გოგონების შემთხვევაში 17 წლით განისაზღვრა. 1876 წელს გამოიცა ადამიანთა ძირითადი უფლებები. 1897 წელს ქალებს უფლება მიეცათ ჯამაგირით ემუშავათ. 1913 წელს ქალები პირველად იწყებენ სამსახურს სახელმწიფო სტრუქტურებში. 1914 წელს გოგონებისთვის პირველი უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა. 1926 წლის 17 თებერვალს ძალაში შევიდა სამოქალაქო კანონი. ამ კანონით ქალებს მიენიჭათ თავდებობის და საკუთარი ქონების განკარგვის უფლება. 1930 წელს ქალებს უფლება მიენიჭათ მონაწილეობა მიეღოთ მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. 1934 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქალებს არჩევნებში კანდიდატად წარდგენისა და ხმის მიცემის უფლება მიენიჭათ.

დღეისათვის კი ცნობილია, რომ ქალი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში, პოლიტიკა იქნება ეს თუ ეკონომიკა, სოციალური თუ კულტურული სფერო უფრო და უფრო აქტიურად ებმება და თან წარმატებითაც. ეს მდგომარეობა ქალის და მამაკაცის საოჯახო როლებს მეტნაკლებად ცვლის. სწორედ ეს იგულისხმებოდა ქალის და მამაკაცის როლების დინამიურობაში. ისინი მუდმივად ცვალებადია.

ქალი, როგორც პიროვნება

ფსიქოლოგიური ტერმინის განმარტების მიხედვით, პიროვნება ეს არის საზოგადოების შემადგენელი ნაწილი, რომელსაც სხვა ადამიანების მსგავს თვისებებთან ერთად მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებები გააჩნია და ამით არის გამორჩეული. სოციოლოგიური თვალსაზრისით კი პიროვნება, ინდივიდი არის ადამიანი, რომელიც ქმნის საზოგადოებას და რომელიც თავის მოსაზრებებს, გრძნობებს და ნებასურვილებს საზოგადოების წინაშე წარადგენს.

ისლამის მიხედვით, ყოველი ადამიანი თავისი რწმენის, ქცევებისა და ღვთისმსახურების საკითხებში მხოლოდ თავად აგებს პასუხს. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ყოველი ადამიანი პიროვნებაა, ინდივიდია. ადამიანი თავის არჩევანში თავისუფალია და არჩევანის შესაბამისი შედეგის მიღებაზეც უნდა აიღოს პასუხისმგებლობა.

ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„ვინც სიკეთე ჰქმნა კაცთაგან თუ ქალთაგან და იგი მორწმუნეა, მაშინ, უთუოდ, მას ტკბილი ცხოვრებით ვაცხოვრებთ და უთუოდ მივაგებთ მათ თავიანთ საზღაურს უფრო უკეთესით, რაც უკეთებიათ!“ (ნაჰლ 16/97)

„მათმა ღმერთმა ისმინა მათი ვედრებანი: „უეჭველად, მე არ დავუკარგავ ნაღვაწს, ვინც იღვაწა თქვენგან, კაცსა თუ ქალს, ერთმანეთისაგან ხართ თქვენ . ხოლო ისინი, რომელნიც გადაიხვეწნენ და განიდევნენ თავიანთი სახლებიდან და იყვნენ წამებულნი ჩემს გზაზე, იბრძოდნენ და იხოცებოდნენ, უთუოდ, დავფარავ (ვაპატიებ) ავ საქმეებს მათსას და უთუოდ, სამოთხეებში შევიყვან, სადაც ძირს მდინარეები მოედინება ჯილდოდ ალლაჰისგან, და საუკეთესო ჯილდო ალლაჰთანაა.“ (ალი იმრან 3/195)

ტერმინს „ინდივიდი“ ზოგჯერ ეგოიზმთან ასოცირებულ ტერმინებთან აკავშირე-

ბენ. სინამდვილეში კი, ისლამის ზნეობრივი პრინციპების მიხედვით ინდივიდუალიზმს ეგოიზმთან კავშირი არ გააჩნია. ისლამის მიხედვით სასურველია ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც ყველა ადამიანი, ქალი იქნება თუ კაცი გარემოცვის მიმართ პასუხისმგებლობის მატარებელია. ისლამის ზნეობრივი პრინციპების მიხედვით მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრება მიუღებელია და ამასთანავე სასურველია მორწმუნემ გასცეს სასურველი ქონებიდან ნაწილი. გარდა ამისა, ისლმში მიუღებელია როგორც ეგოიზმი, ისე თავმომწონეობა და ამპარტავნება.

ცნობიერების განვითარების მნიშვნელობით გამოყენებული ინდივიდუალიზმი ისლამის ზნეობრივი გაგების საპირისპი-

რო არ გახლავთ. ცნობიერების განვითარების მხოლოდ თავისთავში განხორციელება შეუძლებელია. ადამიანმა საკუთარი თავი სამყაროთან მიმართებაში უნდა გააცნობიეროს. ისლამის მიხედვით ადამიანმა უნდა იცოდეს საკუთარი თავი, სამყარო და სხვა არსებები. მან უნდა იცოდეს, რომ ამ ერთ მთლინობაში ცხოვრობს. შესაბამისად ქალი და მამაკაცი ამ ერთი მთლიანობის ნაწილები არიან. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალი და კაცი ერთიმეორის მიმართ პასუხისმგებლობის მატარებელი მეგობრები და ძმები არიან.

„მორწმუნე კაცები და მორწმუნე ქალები ერთმანეთის დამხმარენი არიან. უბრძანებენ ერთმანეთს სიკეთეს და უკრძალავენ უკეთურობას, აღავლენენ ლოცვას,“ (თევბე 9/71)

ამიტომ, სასურველია ადამიანები ერთიმეორის მიმართ გრძნობდნენ პასუხისმგებლობას და ზოგადად გარემოს მიმართ იყონ მგრძნობიარენი. ისლამის მოწოდების შესაბამისად ადამიანი ვალდებულია მეზობლის გასაჭირი გაიზიაროს, ავადმყოფი მოინახულოს და სხვა. ამრიგად, ეს ყველაფერი მნიშნელოვანი გზავნილია სოციალური ცხოვრების ნორმალიზების პროცესში. ამ გადმოსახედიდან კი ქალის და მამაკაცის ინდივიდუალიზმის ეგოიზმად აღქმა უადგილოა.

ყურანში, მორწმუნე ქალები და მამაკაცები რწმენის, ზნეობის და ღვთისმსახურების საკითხებში ერთად არიან ნახსენები. გარდა ამისა ისინი ერთად მოიხსენიებიან სოციალური და ეკონომიური სფეროების განმარტებისას.

„უეჭველად, მუსლიმი კაცებისა და ქალებისათვის, მორწმუნე კაცებისა და ქალებისათვის, მორჩილი კაცებისა და ქალებისთვის, მართალი კაცებისა და ქალებისთვის, მომთმენი კაცებისა და ქალებისთვის, თავმდაბალი კაცებისა და ქალებისთვის, მოწყალების გამცემი კაცებისა და ქალებისთვის, მომარხულე კაცებისა და ქალებისთვის. უმანკოების შემნახველი კაცებისა და ქალებისთვის, ალლაჰის ხშირად მომხსენებელი კაცებისა და ქალებისთვის, ალლაჰ-

მა გაამზადა მათთვის პატიება და უდიდესი საზღაური!“ (აჰზაბ 33/35)

ღვთიური გზავნილის მიხედვით ქალებსაც ეკისრებათ ვალებულება საკუთარი ქონების ნაწილის საზოგადოების სარგებლობის მიზნით გაღებისა. გარდა ამისა მათაც ევალებათ მოწყალების გაღება, გაჭირვებულთა დახმარება, ღმერთის მიმართ პატივისცემა, სიმართლის ლაპარაკი და კარგი ქცევა. ეს გზავნილი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ქალიც და კაციც თანაბრად არიან პასუხისმგებლობის მატარებელი.

თანამედროვე ეპოქაში ადამიანი არის თავისუფალი და ამვდროულად ის ატარებს გარკვეულ პასუხისმგებლობას. ქალის და მამაკაცის პიროვნების გაგება მათ მიერ მათივე თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის გააზრებას გულისხმობს. თავისუფლების გაგებამ უპასუხისმგებლობა, ხოლო პასუხისმგებლობამ ტყვეობა არ უნდა წარმოქმნას.

ცრუონშენები ქალიშვილების წინააღმდეგ

ტრადიციიდან გამომდინარე გვარის გამაგრძელებელი ვაჟიშვილია, ამიტომ მრავალი ოჯახი სულ იმის ფიქრშია, რომ ვაჟიშვილი იყოლიოს. რწმენას ვაჟიშვილის უპი-

რატესობის შესახებ, გარდა გვარის გაგრძელებისა, გარკვეულწილად ვაჟიშვილის ფიზიკური სიძლიერეც განაპირობებს. ამიტომ ვაჟიშვილის ყოლას უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებენ, ვიდრე ქალიშილის. ზოგადად მიღებულია, რომ ვაჟიშვილი მშობლების სიბერის ჟამს ოჯახის სულიერ და ფიზიკურ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე. ქალიშვილი კი ისეთ არსებად აღიქმება, რომლის ღირსების დაცვა ოჯახის მამაკაცებს ევალებათ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ქალსა და მამაკაცს შორის ზნეობრივი შეფასებისას განსხვავება შეინიშნება. ზოგიერთი ქცევა, რომელიც ბიჭებისთვის სირცხვილად ან ცოდვად არ ითვლება, გოგონებისთვის სირცხვილადაც ითვლება და ცოდვადაც. ამგვარი მორალური განსხვავებულობა გოგონებს მორალური მხრიდან სუსტ და დაცვის საჭიროების მქონე არსებების მდგომარეობაში აყენებს. შესაბამისად მრავალ ოჯახშია ამგვარი ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ვაჟიშვილს ქალიშვილთან შედარებით უპირატესობა ენიჭება.

ამგვარი ტენდენცია, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა და გაძლიერდა, ერთ ძირითად პრინციპს ყურადღების გარეშე ტოვებს. საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ ქალიშვილიც და ვაჟიშვილიც მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს ოჯახისა და გარემოსგან სწავლობს. ბიჭიც და გო-

გოც საზოგადოების მიერ შექმნილი სქესობრივი ჩარჩოების მიხედვით იზრდებიან და მათი როლებიც შესაბამისად გადანაწილდება ხოლმე. ამრიგად, დროთა განმავლობაში ეს ტენდენცია გაძლიერდა და ბუნებრივია სხვაგვარად ფიქრის საშუალებას ნაკლებად იძლევა.

ქალიშვილის, როგორც არასასურველ ან ვაჟიშვილთან შედარებით ნაკლებად სასურველ შვილად ჩათვლა, როგორც ტენდენცია, თავად საზოგადოებაში ჩამოყალიბებული განაჩენია. მიუხედავად იმისა, რომ მშობლების მოხუცებულობის ჟამს ქალიშ-

ვილები ვაჟიშვილებთან შედარებით უფრო პატივისცემით და ყურადღებით ექცევიან მშობლებს, მშობლები მაინც ვაჟიშვილებს ანიჭებენ უპირატესობას და ისინი, მოხუცებულობის ჟამს ერთგვარ გარანტიად მიაჩნიათ. განათლების მხრივ ვაჟიშვილებზე უფრო მეტი ყურადღების მიქცევა და მათი ისე აღზრდა, რომ მომავალში პროფესია ჰქონდეთ და ოჯახის რჩენა შეძლონ ზემოთ ხსენებულ ტენდენციას უფრო აძლიერებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს გოგონების სწავლისა და

დასაქმების ტენდენციები ვაჟებისას უთანაბრდება. ამრიგად, ქალებსაც უკვე შეეძლებათ ეკონომიკური შესაძლებლობები მოიპოვონ და შესაბამისად ოჯახის რჩენაშიც მიიღებენ მონაწილეობას, ეს კი მათი როლების ხელახალ გადანაწილებას გამოიწვევს. სიბერის ჟამს რომელი შვილი უფრო გამოსადეგი და სანდო იქნება, გოგო იქნება ის თუ ბიჭი, ამას მხოლდო დრო გვიჩვენებს. მშობლების მიერ ქალიშვილების და ვაჟიშვილების თანასწორად აღზრდა და მათთვის შეძლებისდაგვარად განათლების თანაბრად მიცემა, მომავალში, მათგან მოსალოდნელი სიკეთის და თანადგომის ალბათობის თანასწორობას გამოიწვევს. ამგვარი ქცევა მშბლების მხირად შვილებისადმი თანასწორ და სამართლიან მოქცევას გამოხატავს.

ნამუსის, ზნეობის და ქცევების მიხედვით ყურანშიც და შუამავლის ჰადისებშიც ქალსაც და კაცსაც თანაბარი პასუხისმგებლობა აკისრიათ და ამ მხრივ მათ შორის განსხვავება არ შეინიშნება. შესაბამისად, ქალის და კაცის მიმართ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული განსხვავებული მიდგომები, ნამუსის და ზნეობის მიხედვით არათანაბარი კრიტერიუმები ისევ საზოგადოებაში აღმოცენებული ტენდენციების მაჩვენებელია. მაგალითად, ყურანში მრუშობის და მსგავსი უზნეო საქციელის მიმართ

ქალიც და კაციც განუსხვავებლად არიან გაფრთხილებულნ-შეგონებულნი.

„მეძავი ქალი და მეძავი კაცი - თითოეული გაროზგეთ ასჯერ, არ შეიბრალოთ ისინი ალლაჰის რჯულისათვის, თუ გწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი! მათი დასჯის მოწმე იყოს მორწმუნეთა ერთი ჯგუფი.

მეძავი კაცი ვერ დაქორწინდება თუ არ მეძავ ქალზე ან წარმართზე, ხოლო მეძავი ქალი ვერ გათხოვდეს, თუ არა მეძავ კაცზე ან წარმართზე. მორწმუნეებს კი ეს აეკრძალათ !„ (ნურ/ 2, 3,) იხ. ნურ 26)

ოჯახის გვარს მამის და დედის შეუღლების შედეგად გაჩენილი შვილები აგრძელებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოჯახის გვარს აგრძელებენ როგორც ვაჟიშვილები, ისე ქალიშვილები.

გარდა ამისა, ისლამი ქალიშვილებსა და ვაჟიშვილებს შორის შერჩევით დამოკიდებულებას კრძალავს. ყურანში ღმერთი ბრძანებს, რომ მისი ნებისამებრ გვებოძება ქალიშილი ან ვაჟიშვილი.

„ალლაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნის. აჩენს, ინებებს რასაც; სჩუქნის ასულებს, ინებებს ვისაც და სჩუქნის ძეებს, ინებებს ვისაც;

ან ადგენს მათ წყვილებად, მამრებად და

მდედრებად. ხოლო ადგენს უნაყოფოდ, ინებებს ვისაც. უეჭველად, იგი ყოვლისმცოდნეა, ყოვლისშემძლეა!“ (შურა 42/49-50)

ყურანი მკაცრად აფრთხილებს იმ მშობელს, რომელიც ქალიშვილის გაჩენის გამო გაბრაზდა. ყურანის ბრძანებით ასევე გაუქმდა უმეცრების ხანაში ასრებული დესპოტური წესი, რომლის მიხედვითაც ახალდაბადებულ ქალიშვილებს ცოცხლად მიწაში მარხავდნენ.

„და როცა ცოცხლად დამარხულ გოგოს ჰკითხავენ:

თუ რომელი ცოდვისთვის მოიკლა?“ (თექვინ 8-9)

„და როცა ახარებენ რომელიმე მათგანს იმას, რასაც ისინი მოწყალეს მიაწერენ, დაეფარება სახე შავად, სიბრაზის გამო.“ (ზუხრუფ 17)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს აზრი, რომლის მიხედვითაც ვაჟიშვილები უფრო ძლიერები, გონიერები და გაბედულები არიან, ხოლო ქალიშვილები სუსტები, მორიდებულები და მგრძნობიარენი. ამგვარი დამოკიდებულება კი გოგონების უნარების და შესაძლებლობების გამოვლინებას ხელს უშლის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ გოგონები ცხოვრებას ერთი ნაბიჯით უკან იწ-

ყებენ. ამგვარი უარყოფითი ტენდენცია გოგონებისთვის იმის ახსნას, რომ ისინიც ვაჟიშვილების თანაბარი უფლებით სარგებლობენ, ხელს უშლის. არსებობს შემთხვევები, როცა გოგონების სწავლას და უფრო მეტიც წერა-კითხვის ცოდნასაც ზედმეტად მიიჩნევენ. ამ გზით ისინი სრულიად განათლების გარეშე რჩებიან. გამომდინარე აქედან, ამ მდგომარეობაში მყოფი გოგონები მოსალოდნელი ცხოვრებისეული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების წინაშე უძლურნი რჩებიან.

ბავშვობის პერიოდში ტენდენციური მიდგომების თანხლებით აღზრდის შემთხვევაში ბიჭებისთვისაც გარკვეული ნეგატივი არსებობს. ბავშვობიდანვე გოგონების და ბიჭების როლების მკაცრი განაწილება, მათთვის, განსაკუთრებით ზრდასრულობის ასაკში გარკვეულ პრობლემებს ქმნის. მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როცა ზრდასრული მამაკაცი ოჯახში მიმდინარე ჰიგიენურ თუ კულინარიულ საჭიროებებს მარტო ვერ იკმაყოფილებს და საამისოდ აუცილებლად სჭირდება მეუღლე, ან დედა ან სხვა ვინმე. ეს არის ტიპი მამაკაცისა, რომლის შესახებაც ამბობენ „კვერცხსაც ვერ შეიწვავს“. ასეთები ამ მხრივ მუდმივად სხვებზე არიან დამოკიდებულნი.

ისლამის მიხედვით მშობლებისთვის შვილები ერთგვარი გამოცდაა და ამ გამოცდის პროცესში მშობლები ვალდებულნი არიან შვილებს თანასწორად მოექცნენ. ყურანში ნაბრძანებია, რომ მორწმუნე ქალის და კაცის ამაგი ტყულად არ წავა და საიქიოში მათი ნამოქმედარის მიხედვით მიეზღვებათ სიკეთე. (იხ. ალი იმრან 195, ნისა 32, აჰზაბ 35, მუ'მინ 40ჰადიდ 12, თევბე 72, ნაჰლ 97 და სხვ)

მშობლებისთვის ქალიშვილები და ვაჟიშვილები ღმერთს მიერ ბოძებული სიხარულის წყარო არიან და ღმერთმა ისინი მშბლებს, როგორც ამანათი ისე მიაბარა.

მშობლების მხრიდან შვილებისადმი დამოკიდებულებას მათი სქესი არ უნდა განსაზღვრავდეს. მათგან რომელიმე სქესის გამო სხვა რომელიმის მიმართ უპირატესობით არ უნდა სარგებლობდეს. ამრიგად, გოგონების სწავლის, შრომისა და სხვა ცხოვრებისეული აქტივობებისგან ჩამოშორება ისლამის ძირითად საფუძვლებს არ შეესაბამება.

ამრიგად, ოჯახში მშობლების მიერ ვაჟიშვილების მიმართ გაწეული სულიერი და მატერიალური სიკეთე თუ ქალიშვილების მიმართაც იქნა გაწეული, ოჯახის შიგნით სამართლიანობის შეგრძნება დამკვიდრდება.

ახალი პასუხისმგებლობა და ქალი, როგორც მეუღლე

ქალის მიმდინარე ცხოვრებში არსებული პრობლემები განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც ის მეუღლის მოვალეობის შესრულებას იწყებს. ქორწინების უღელში შესული ქალი ხდება რძალი, მეუღლე, დიასახლისი, დედა და სხვა. ამრიგად ის მოვალეობების მთელი კასკადის გარემოცვაში ექცევა. ბოლო დროინდელი ტენდენციების თანახმად ქალი უფრო და უფრო მეტად ჩართულია ოჯახისგარე საქმიანობაში, თუმ-

ცა საზოგადოებაში გაბატონებული აზრის თანახმად დაქორწინებული ქალის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა საკმაოდ ძლიერად ზღუდავს მას. რა თქმა უნდა მამაკაცებიც ქორწინების შემდეგ მთელ რიგ პასუხისმგებლობას იღებენ, როგორიცაა სიძე, მეუღლე, მამა და ა.შ. ქალის როლს და მოვალეობებს ოჯახის საქმეები, ბავშვის გაჩენა და მოვლაც ემატება. ამათგან ზოგი ქალის ბუნებრივი მოვალეობებია, თუმცა ეს ყველაფერი ქალის მოვალეობებს მამაკაცის მოვალეობებთან შედარებით უფრო მეტს წარმოაჩენს.

თანამედროვე ცხოვრების წესიდან გამომდინარე ქალი მეტადაა ჩართული ოჯახის გარე საქმიანობაში და დღის განმავლობაში გარკვეულ დროს ოჯახს გარეთ, სამსახურში ატარებს. ასეთ შემთვევაში ქალი თავის ტრადიციულ როლს გარკვეულწილად ნაკლებად ასრულებს. ასეთ დროს ბავშვებს საბავშვო ბაღში აგზავნიან ხოლმე, რის შედეგადაც დედა შედარებით ნაკლებ დროს ატარებს მათთან, რაც შეიძლება ნეგატიურ მომენტად ჩავთვალოთ. ეს მდგომარეობა ქალის წინაშე ახალ პასუხისმგებლობებს წარმოშობს და შესაბამისად არსებული პასუხისმგებლობების რიცხვი იკლებს. ამრიგად ქალი, ქორწინების შემდეგ ახალ მოვალეობებს იღებს და ცვლილებებს მისთვის კიდევ ახალი მოვალეობები მოაქვს.

ქალის და მამაკაცის ქორწინება და როგორც მეუღლეების ერთად ცხოვრება, მრავალი კარგის ერთად მრავალ პასუხისმგებლობას და მოვალეობებს წარმოშობს. ზოგადად მიღებულია, რომ მეუღლეებს შორის კონფლიქტი, უმეტესწილად, მათ შორის თანასწორობის არარსებობის შემთხვევაში წარმოიქმნება. აქ იგულისმხება სოციალური და მატერიალური მდგომარეობა, ოჯახური მენტალიტეტი, რელიგიური და ტრადიციული ღირებულებები, გარეგნულად შესაფერისობა და სხვა. ამ ჩამოთვლილი ფაქ-

ტორების მიხედვით მეუღლეებს შორის თანასწორობა ან სიახლოვე თუ შეინიშნება, მაშინ მათ შორის კონფლიქტი შედარებით ნაკლებადაა მოსალოდნელი და ურთიერთგაგების საფუძველი შექმნილია. მეუღლეებს თუ რომელიღაც სფეროში განსხვავებული სტატუსი და ბუნება გააჩნიათ, ნებისმიერი მიზეზით კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში ურთიერთშეთანხმება ძნელად მიიღწევა, რაც ურთიერთობას დააზიანებს. ეს კი თავის მხრივ ოჯახურ პრობლემებს ჩიხში შეიყვანს.

ისლამი გვირჩევს, რომ წყვილებს შორის თანასწორობა ქორწინებამდე იქნას გათვალისწინებული. გვარიშვილობის, სილამაზის, სიმდიდრის და მსგავსი ღირებულებების მოძებნამდე, უპირველეს ყოვლისა ისლამის ზნეობა უნდა იქნას მოძიებული. წმ. შუამავალი ბრძანებს:

„ ქალის შერთვისას ოთხი რამ შეიძლება გაითვალისწინოთ: სიმდიდრე, გვარიშვილობა, სილამაზე და სარწმუნოება. შენ მორწმუნე არჩიე, რათა ცხოვრება სიკეთიანი გქონდეს.“

მეუღლეებს შორის თანასწორობა მომავალი ოჯახის ბედნიერებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყურანში მეუღლეები ერთიამეორის სამოსელად არიან ნახსენები:

„ისინი სამოსელია თქვენი და თქვენ ხართ სამოსელი მათი.“ (ბაყარა 187)

აიათში ნახსენები „სამოსელი“ გულისხმობს, რომ მეუღლეები ერთიმეორის მიმართ მუდმივად სიახლოვეს, გულმოწყალებას, ურთიერთგაგებას, სამართლიანობას და სიყვარულს უნდა იჩენდნენ. წყვილებს შორის თუ ასეთი დამოკიდებულებაა, ისინი ერთიმეორისთვის „სამოსელი“ იქნებიან.

ქალი როდესაც დედა ხდება

როდესაც ქალი დედა ხდება მისი ოჯახში, გარემოში და საზოგადოებაში არსებული სტატუსი და როლი შეიცვლება და სხვა დონეზე ჩამოყალიბდება. როგორც ისლამის, ისე ტრადიციების მიხედვით დედობა განსაკუთრებული და ამაღლებული მდგომარეობაა.

ყურანში ნათლადაა მითითებული თუ როგორ უნდა მოვექცეთ მშობლებს და განსაკუთრებით დედას. ეს არამარტო ქცევას გვასწავლის, არამედ მიგვითითებს თუ რა სტატუსი აქვთ მშობლებს ადამიანის ცხოვრებაში.

„და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთი-

ლად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთა-
გან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემ-
დე, არ უთხრა: „უჰ!“ და არ გაუწყრე მათ და
ლამაზი სიტყვა უთხარი!

და ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე
ლმობიერებითა და თავმდაბლობით და თქ-
ვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც
გამზარდეს, ისე შეიწყალე ესენი!“ (ისრა 23-24)

წმ. შუამავალი კი დედის შესახებ ბრძა-
ნებდა: „სამოთხე დედის ფეხთაქვეშაა“. აქე-
დან ჩანს, რომ დედა ერთ-ერთი პირველთა-
განია, ვისაც პატივისცემით უნდა მოვეპყ-
როთ.

ისლამი ადამიანებს ქორწინებისკენ
მოუწოდებს, შვილის ყოლას და გამრავლე-
ბას იწონებს და დედობას კი განამაღლებს.
თუმცა, ქორწინებაშ მყოფ წყვილს თუ შვი-
ლი არ ეყოლება ეს მათი განქორწინების
მიზეზად არ არის მიღებული. უშვილობა
ერთგვარ გამოცდადაა მიღებული. ყურა-
ნის მიხედვით შუამავლებს წმ. ზექერიასა
და წმ. იბრაჰიმს დიდი ხნის განმავლობა-
ში შვილი არ უჩნდებოდათ და ეს მათთვის
განმარტებულია, როგორც გამოცდა:

„აკი, მან შეევედრა თავის ღმერთს ღაღა-
დით საიდუმლოდ .

თქვა: „ღმერთო ჩემო! უეჭველად, ძვლები
გამომეფიტა და თავი გამიჭაღარავდა;და არ

ვყოფილვარ შენდამი აღვლენილი ვედრებისას უბედური.

და უეჭველად, მე მეშინია ჩემს შემდეგ მომავალი ახლობლების, რამეთუ ჩემი ცოლი უნაყოფო შეიქმნა; მაშ, მე შვილი მაჩუქე!

მემკვიდრე იყოს ჩემი და მემკვიდრე იაღყუბის მოდგმის,ჰქმენ იგი,ღმერთო ჩემო,კმაყოფილად!“

„ჰეი, ზაქარია, უეჭველად, ჩვენ გახარებთ ძეს, რომლის სახელიცაა იაჰია. მის უწინარეს ეს სახელი არავის უტარებია!“

თქვა: „ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება შემეძინოს მე ძე, როცა ჩემი ცოლი უკვე უნაყოფოა და მე უკიდურესად მხცოვანი ?

უთხრა: „სწორედ ასე ბრძანა შენმა ღმერთმა: „იგი ჩემთვის იოლია! თავდაპირველადაც ხომ მე გაგაჩინე, როცა არაფერი იყავი?“

უპასუხა: „ღმერთო ჩემო! დამიდგინე მე ნიშანი!“ უთხრა: „შენი ნიშანი ის იქნება, რომ არ დაელაპარაკო ხალხს სამი ღამის განმავლობაში , სრულიად ჯანმრთელმა!“

ამის შემდეგ გამოვიდა მიჰრაბიდან თავის ხალხთან და მათ ანიშნა: „რომ ელოცათ დილით და საღამოს!“ (მერიემ 3-1. იხ. ჰუდ 71-73, ჰიჯრ 52-56)

დედობა ქალს გარდა იმისა რომ ახალ სტატუსს სძენს, ასევე ახალ როლს და მოვალეობებსაც აკისრებს. ბავშვის ბოლოგიური მოთხოვნილებების გარდა, მისი აღზრდისა და განვითარებისთვის საჭირო სოციალური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები უმეტესწილად დედამ უნდა უზრუნველყოს. ტრადიციული ღირებულებების უმეტესობა ადრე ბებია-ბაბუას მხრიდან გადაეცემოდა შვილიშილებს, დღეს კი ეს პროცესი მშობლების პრეროგატივაა. ადრე, როგორც წესი ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. ბოლო ხანებში კი ოჯახი ძირითადად მშობლებისა და მათი შვილებისგან შედგება. ამდენად, ბავშვის აღზრდა, ტრადიციების გაცნობა, რელიგიის შესწავლება მშობლების მოვალეობებს შორის შედის.

ქალების სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართულობამ, მათი როგორც დედების მოვალეობასთან დაკავშრებული საკამათო საკითხები წამოსწია წინა პლანზე. ზოგადად მიიჩნევა, რომ დასაქმებული ქალბატონები დედის მოვალეობას საკმარისად ვეღარ ასრულებენ და ამის გამო მრავალი ქალი სამსახურსა და დედის მოვალეობას შორის ერთგვარი არჩევანის წინაშე დგას. „დედობა ან სამსახური“, ხშირად ეს პრობლემა ამდენად კატეგორიულად დგას ხოლმე და ქალებიც ხშირად ამ რთული არჩევანის წინაშე დგანან. არადა დედობა

და სამსახური ერთიმეორის საწინააღმდეგო ალტერნატივები არ არის. კარგი დედობის და კარგი პროფესიონალი თანამშრომლის საზომი რომლეიმე მათგანისთვის დიდი დროის დათმობით არ განისაზღვრება. კარგი დედა და თნდაც კარგი თანამშრომელი პასუხისმგებლობის მატარებელი და საქმის კარგად შემსრულებელია. პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, თავისი საქმის მცოდნე მანდილოსანი დედობასაც და საქმესაც საკმარის და ეფექტურ დროს დაუთმობს.

ქალი, როგორც ძალადობის ობიექტი და შეძალადე

ქალების პრობლემებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა მასზე ფიზიკურად უფრო ძლიერი მამაკაცის მხრიდან ქალის მიმართ და განსაკუთრებით კი ცოლის მიმართ განხორციელებული ძალადობა გვახსენდება. ამ პირველი „უხეში ძალის“ გარდა ქალის წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებული იქნას ძალადობის სხვადასხვაგვარი მეთოდები. ძალადობაში ფიზიკური ძალადობის გარდა სხვა სახის, მაგალითად ფსიქოლოგიური ძალადობაც იგულისხმება. სიტყვიერი და ფსიქოლოგიური ძალადობა გამოიხატება ჯესტით, მიმიკით, გინებით, დამამცირებელი სიტყვებით და სხვა. ძალადობა მხოლოდ მამაკაცის მხრიდან ქალზე განხორციელებული ქმედება არ არის. ეს შეიძლება იყოს მამაკაცის მხრიდან სხვა მამაკაცის მიმართ, ან ქალის მხრიდან სხვა ქალის მიმართ, ან ორივე მათგანის მხრიდან ბავშვების მიმართ და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ქალი მხოლოდ ძალადობის მსხვერპლი კი არა შეიძლება ძალადობის ავტორიც იყოს.

ოჯახური ძალადობის ყველაზე თვალსაჩინო და ადვილად ამოსაცნობი ძალადობის ტიპი ფიზიკური ძალადობაა. ზოგადად, ძლიერის მხრიდან სუსტის მიმართ განხორ-

ციელებული ძალადობა, ძლიერის ძლიერების გამოვლინება კი არ არის, არამედ უსუსურობისა და სუსტი ნებისყოფის შედეგია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გონებრივად და სულიერად ძლიერი პიროვნებები ურთიერთობებში გონივრულად იქცევიან და ფიზიკურ ძალას არ მიმართავენ.



მეუღლეებს შორის ძალადობა უმეტესწილად ქორწინების დასაწყის ხანებში იჩენს თავს და ეს იმით არის გამოწვეული, რომ მეუღლეებს ხშირად სურთ ერთიმეორის წინაშე უპირატესობის დამტკიცება და ზეგავლენის მოხდენა, რასაც ფიქრობენ, რომ მთელი ცხოვრება შეინარჩუნებენ. როცა რომელიმე მხარე ამას ვერ ახერხებს და მეუღლის მართვის სანუკვარ ოცნებას ვერ იხდენს, მაშინ საკუთარ თავს სუსტად მიიჩნევს და სწორედ ამ უკანასკნელის გადასაფარად მიმართავს ძალადობას.

მეუღლეებს შორის სიტყვიერი ძალადობა გამოიხატება ყვირილით, გინებით, დამცირების გამომხატველი სიტყვებით და ა.შ. არის ძალადობის სახე, როცა ერთი მხარე მეორის გრძნობებზე თამაშობს. მაგალითად მეორე მხარის აზრის, სურვილების და თხოვნის არაფრად ჩაგდება და დამცინავი დამოკიდებულება, მიმიკებითა და ჟესტებით დამცირება, რამე ლეგიტიმური მოთხოვნების აკრძალვა, როგორიცაა ახლობლების ან მშობლების მონახულების აკრძალვა და სხვა.

მეუღლეებს შორის ძალადობის გამოვლინებას უმეტესწილად მიზეზად ერთმანეთს შორის დიალოგის, როგორც გამოსავლის გზის უგულებელყოფა აქვს.

ოჯახში ძალადობა ხშირ შემთხვევაში

ერთსქესიანებს შორისაც ვლინდება. მაგალითად რძალ-დედამთილიანი ხშირად კონფლიქტურ სიატუაციაში არიან და ადგილი აქვს ძალადობის გამოვლინებას. ეს შეიძლება გამოხატული იქნას სიტყვიერი ან სხვა ფორმის ძალადობით. ნათესაური ურთიერთობების გარდა, ქალები ხშირად მიმართავენს რომელიმე სახის ძალადობას სხვა ქალების მიმართ.

ოჯახური ძალადობის ერთ-ერთი კლასიკური მაგალითი მშობლების მიერ აღზრდის პროცესში ბავშვის წინააღმდეგ გამო-

ყენებული ძალადობაა. მიუხედავად იმისა, რომ მშობელს შვილი უყვარს და მის მიმართ გულმოწყალე დამოკიდებულება გააჩნია, ხშირ შემთხვევაში ნერვებს ვეღარ აკონტროლებს და შვილის მიმართ ძალადობას გამოავლენს. თუმცა, ამგვარი ნერვების ვერ გაკონტროლება საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება. უმეტეს შემთხვევაში მშობლები ძალადობას მაშინ მიმართავენ, როცა მათი და შვილების ინტერესები ერთმანეთს კვეთს და მშობელი მიიჩნევს, რომ მისი ინტერესების უპირატესობას სწორედ ძალადობის გზით დაამტკიცებს.

ოჯახში წყვილებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი და ძალადობა, რომელიც ტრაგიკულ დონემდე მიდის, ბავშვებისთვის მწარე გამოცდილება უნდა იყოს. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მშობლებს შორის კონფლიქტსა და ძალადობის გამოვლინებას ხშირად ბავშვებიც ესწრებიან. ბავშვებისთვის კი ეს ძალდობის ისეთი გამოცდილებაა, რომლის დავიწყება და გამოსწორება შეუძლებელია. ამგვარი გამოცდილება კი ბავშვის ფსიქოლოგიაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. ამ დროს ბავშვი ძალადობას აღიქვამს როგორც ალტერნატივას და ქცევის იგივე მოდელს ითვისებს.

ისლამი, საფუძველშივე ითხოვს ორივე სქესისგან იცხოვრონ ღვთისმოშიშობით და

ახსოვდეთ, რომ თავიანთი ნამოქმედარისთვის ღვთის წინაშე წარსდგებიან და განიკითხებიან. ისლამი აფრთხილებს ადამიანებს ერთმეორეს სიყვარულით და პატივისცემით მოეპყრონ.

ქალიც და მამაკაციც ღვთის წინაშე თანასწორნი არიან და ჩვენს სარწმუნოებას სურს, რომ ისინი ერთიმეორის მიმართ გეთილგანწობილნი იყვნენ. ისლამი ხშრად ახსენებ ქალებს და მამაკაცებს, რომ ერთიმეორის მიმართ გააჩნიათ როგორც უფლებები, ისე მოვალეობებიც.

„მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ თქვენგანვე გააჩინა თქვენი მეწყვილე, რათა იპოვოთ მასში სიმშვიდე, დაგიდგინათ ერთმანეთში სიყვარული და მოწყალება. უეჭველად, ამაში სასწაულებია მოაზროვნე ხალხთათვის!“ (რუმ 30/21)

წმ. შუამავლის ცხოვრებას თუ დავაკვირდებით, ერთი ფაქტიც კი არ არსებობს იმის დასტურად, რომ ის ქალებს, ბავშვებს ან რომელიმე ცოცხალ არსებას ცუდად მოპყრობოდეს.

გარდა ამისა, წმ. შუამავალი მუდმივად აფრთხილებდა მამაკაცებს, რომ ქალები ნაზი არსებები არიან და კარგად მოეპყარითო.

„მორწმუნეთა შორის რწმენის თვალსაზრისით ყველაზე ჩამოყალიბებული ისაა, ვინც ზნეკეთილია. თქვენს შორის ყველაზე კარგი ისაა, ვინც მეუღლეს კარგად ექცევა“. (თირმიზი, რადა 11)

ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება, სიტყვიერი იქნება ეს, ფიზიკური თუ სხვა სახის, ძირითადად საკუთარი აზრის სხვათა შეხედულების მიმართ უპირატესობის დამტკიცებისთვის მიმართავენ ხოლმე. ამიტომ, ისლამის სწავლება და ზნეობრივი მაგალითები ამგვარი მიდრეკილებებისგან დაგვიცავს. ისლამის სწავლების მიხედვით ადამიანს არა ეგოიზმის გამოხატვაში, არამედ სხვათა მიმართ გულმოწყალებაში, არა თავმომწონეობაში, არამედ თავმდაბლობაში, არა სიძუნწეში, არამედ ხელგაშლილობაში, არა უპატივცემულობაში, არამედ პატივისცემაში, არა ბოროტებაში, არამედ სიკეთეში, არა სიძულვილში, არამედ სიყვარულში უბოძებს ღმერთი მადლს და გადაარჩენს.

ადათებსა და თანამედროვე ღირებულებებს შორის მოქცეული ქალი

სიტყვა ადათი ტრადიციას, წესს, წინაპრებისგან გადმოცემულ ცხოვრების წესს გულისხმობს. ბუნებრივია ადათი თავისი

მნიშვნელობით ცუდს არაფერს ნიშნავს. ბავშის დაბადებიდან დაწყებული გასვენებამდე ცხოვრების თითქმის ყველა ეტაპზე ადათებს მნიშვნელოვანი როლი უკავია.

საზოგადოებისთვის მისაღები ნორმების ცვლილების პროცესში, ახალი თაობების შეხედულებების ადათებთან შეჯახება საზოგადოებრივ დაძაბულობას და პრობლემების გაჩენას იწვევს. ეს მოვლენა ჩანს, როგორც ახლის და ძველის, ტრადიციულისა და თანამედროვის დაპირისპირება. ტრადიცია და ადათი, რომელიც არადინამიურია და სიახლეებს მკაცრად უპირისპირდება ეს გამოიწვევს კრიზს, რომელიც თავად ტრადიციის მსვლელობას და სიცოცხლისუნარიანობას შეუშლის ხელს. იგივენაირად კრიზისის გამოწვევა შეუძლია ძველის და ტრაციციულის მთლინად უარყოფას და მასთან კავშირის გაწყვეტის მცდელობას. ამიტომ, ტრადიციის დინამიკა არ უნდა შეჩერდეს და ადამიანები უნდა გათვითცონიერდნენ როგორც ტრადიციის მნიშვნელობაში, ისე სიახლის აუცილებლობაში.

ამ პროცესში ერთობ მნიშვნელოვანია, რომ ქალებს შეექმნათ საიმისო მოტივაცია, რათა ტრადიციული და თანამედროვე ღირებულებების კრიტიკა და ასევე გაგება შეძლონ. ქალებში მაქსიმალურად უნდა განვითარდეს იმგვარი აზროვნება, რო-

მელიც კრიტიკული აზროვნებით მიუდგება როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ღირებულებებს. ეს კი შესაძლებელი გახდება თუ ქალი აბსოლუტურად თავისუფალი გახდება როგორც ტრადიციის, ისე თანამედროვე ღირებულებების გაგების თვალსაზრისით.

ტრადიციებსა და ადათებში ქალებისთვის მუდმივად ნეგატიური მოვლენა არ იგულისმხება. თუმცა, ტრადიციების კრიტიკისა და ანალიზის გარეშე დატოვება არც ჰუმანური და არც რელიგიური კუთხით დადებით მოვლენად არ აღიქმება, რადგან ასეთ

შეთხვევაში საზოგადოებრივი წყობის დინამიკა მხედველობაში აღარ მიიღება და ეს კი თავის მხრივ უსამართლ ელემენტების შემცველი ტენდენციების გამოვლინებას შეუწყობს ხელს.

ჩვენმა სარწმუნოებამ საზოგადოებისთვის მისაღები, მაგრამ ქალების წინააღმდეგ მოქმედი უსამართლო პრაქტიკა დაგმო და აკრძალა. ამის მაგალითები ისლამის ისტორიაში მრავლად მოიპოვება.

ქალის მიმართ ძალადობის გამოვლინების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ნამუსის სახელით მათი მოკვდინებაა. ნამუსის და ღირსების დაცვის მხოლოდ ქალის მოვალეობად ჩათვლა არასწორი მიდგომაა. ბუნებრივია ეს თანაბრად ეხება ქალსაც და კაცსაც.

ტრადიციებში არის შიდა ლოგიკა, რომელიც სინამდვილეში ქალის და კაცის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. თუმცა ამ პროცესში ხშირად ძალადობისკენ ხდება გადახრა. სწორედ სარწმუნოების დებულებები, რომლებიც საზოგადოებაში მოსალოდნელი უსამართლობის წინააღმდეგ ერთგვარ გაფრთხილებას წარმოადგენს, ამგვარი უსამართლო ტენდენციების დამკვიდრებას უშლის ხელს.

ისლამი ქალის და კაცის ბუნებას ითვალისწინებს და შესაბამისად მათთან მიმართებაში ძირითად მიმართულებას პიროვნებების თანხმობას ირჩევს, ეს იქნება ქორწინება, განქორწინება, მემკვიდრეობა და სხვა. ამ პრინციპების მიხედვით პატარძლის მშობლებისთვის ფულის გადახდა, ან დაქვრივებული ქალის ძალად გათხოვება გარდაცვლილი ქმრის ძმაზე, სარწმუნოების მიდგომებთან ჰარმონიულ შესაბამისობაში ვერ მოდის. ორი ადამიანისთვის ქორწინებაში ხელის შეშლა, როცა მათ ეს სურთ, ისლამის მიხედვით მიუღებელია, ისევე როგორც მიუღებელია ორი ადამიანის ძალად დაქორწინება. ასევე მიუღებელია ნამუსის და ადათის სახელით მკვლელობა.

ისლამი არა სიკვდილს, არამედ სიცოცხლეს და სიცოცხლის ხელშეწყობას გვავალებს. ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„ამისთვის დავუწერეთ ისრაილის შვილთ, რომ ვინც მოჰკლას ადამიანი არა ადამიანის წილ და არა ქვეყანაზე უკეთურობის გასაწმენდად, თითქოსდა მთელი ხალხი ამოეწყვიტოს. და ვინც ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, თითქოსდა მთელი ხალხისთვის შეენარჩუნებინოს სიცოცხლე. ვფიცავ! ჩვენი შუამავალნი უკვე იყვნენ მათთან მისულნი ცხადი მტკიცებანით , მაგრამ ამის შემდგომაც, უეჭველად, ბევრი იმათგანი

მაინც განაგრძობდა დედამიწაზე ზღვარგადასულობას. (მაიდე 32)

განათლება და ქალი

ძლიერი და განვითარებული საზოგადოების ნიშანი, საზოგადოების შემადგენელი ინდივიდების განათლების დონეა. დღეს, ქალის ყველა პრობლემას ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გააჩნია და ეს მიზეზი განათლების ნაკლებობაა.

ქალების განათლებასთან დაკავშირებული ანალიზისას ჩანს, რომ მათი განათლების ნაკლებობის მიზეზი მშობლების და ზოგადად საზოგადოების მხრიდან გოგონების სწავლისადმი გულგრილი დამოკიდებულებაა. გარდა ამისა, ეკონომიკური პირობების არქონის შემთხვევაში, როცა ბიჭსა და გოგონას შორის არჩევანია გასაკეთებელი, თუ რომელმა მათგანმა უნდა გააგრძელოს სწავლა, უპირატესობას ბიჭს ანიჭებენ ხოლმე. არადა, ისლამის მიხედვით ცოდნის შეძენა ყველას ვალდებულებაა, განურჩევლად ქალის, კაცის თუ სხვა ნიშნისა. (იხ. ზუმერ 39/9)

გოგონების განათლებისგან ჩამოშრება მომავალში მათ სოციალურ-ეკონომიკური

სტატუსზე უარყოფით გავლენას ახდენს. გარდა ამისა, გაუნათლებლობა ქალებს საზოგადოებრივ ასპარეზს ჩამოაშორებს და მხოლოდ პირად ცხოვრებაში გამოკეტავს. სრული გაუნათლებლობა ან მხოლოდ დაწყებითი განათლება, ქალების შემეცნებას ჩაკეტილობის პრობლემის საფრთხეს უქმნის.

ძირითადად, გაუნათლებლობა ქალების ცხოვრებას და მათ მომავალს შეზღუდავს. ამიტომ, თითოეული ჩვენგანი ვალდებულებაა ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ ქალთა განათლებას, რათა მათ სრულყოფილი მომავლის პერსპექტივა ჰქონდეთ.

უნივერსალური ღირებულებები და ქალი

დღეს, მარავალი საერთაშორისო ოფიციალური თუ არასამთავრობო ორგანიზაცია ცდილობს ქალთა უფლებების დაცვას და ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორებაზე მუშაობენ. ამასთანავე იქმნება საზოგადოებრივი მზაობა, რომელიც ქალთა უფლებების დარღვევის დროს მეტ მგრძნობელობას იჩენს.

ქალი, თავისი არსებობით კაცობრიობას მნიშვნელოვან ღირებულებებს სთავაზობს და სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებში ქალის წინააღმდეგ მოქმედი მიდგომები ამ ღირებულებების სრულყოფილად გამოვლინებას უშლის ხელს.

ქალთა უფლებების მიმართ ბოლო დროინდელი მგრძნობიარე ტენდენციები, გარდა იმისა,რომ მეტ თავისუფლებას მოუტანს ქალებს, ასევე მეტ პასუხისმგებლობასაც დააკისრებს. არის კითხვა, რომლსაც პასუხი უნდა გაეცეს: რა დადებითი როლი უნდა შეასრულოს ქალმა ლოკალური თვალსაზრისით საზოგადოებისთვის და გლობალურად მთელი კაცობრიობისათვის? ამასთანავე, ქალების მიერ, დღეისათვის უნივერსალური ღირებულებების წარმოებასა და პრაქტიკაში განხორციელების საქმეში შეტანილი წვლილი და საამისო პრეტენზია, თავისთავად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.